საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000057904486420

№ 02-145-R

02 / სექტემბერი / 2020 წ.

ბრძანება

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის ფარგლებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

საქართველოს კანონის ”უმაღლესი განათლების შესახებ” 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, კონსერვატორიის შენობაში შესვლისათვის, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილეს ნანა კალანდაძეს დაევალოს მოამზადოს ცხრილი სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციებისა და 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის საფუძველზე

2. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილეს ნანა კალანდაძეს დაევალოს სასწავლო პროცესის ცხრილის მიწოდება თეა ტიგინაშვილისათვის, Covid-19-თან დაკავშირებული რეგულაციებისა და მოთხოვნების კოორდინატორი, ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისაზე პასუხისმეგებელი პირი

3. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს მაია ტაბლიაშვილს დაევალოს სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების ინფორმირება 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა დარეაგირების გეგმის შესახებ

4. ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, აგრეთვე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს დაევალოს მათ დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალისათვის 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის გაცნობა და სამსახურში გამოცხადების გრაფიკის შედგენა

5. საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს თეონა ბუაძეს და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს მაია ვირსალაძეს დაევალოს შესაბამისი მიმართულებებისათვის 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის გაცნობა და სამსახურში გამოცხადების გრაფიკის შედგენა

6. ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, აგრეთვე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს დაევალოს სამსახურში გამოცხადების გრაფიკის რექტორის თანაშემწისთვის მიწოდება

7. მიმართულების ხელმძღვანელებს დაევალოთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე კონცერტმაისტერების ინფორმირება სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისადა რეაგირების გეგმის შესახებ.

8. ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ-გვერდის ადმინისტრატორს

9. კანცელარიას დაევალოს აღნიშNლი ბრძანების თვალსაჩინო ადგილას განთავსება და მისი დაგზავნა ყველა ცსტრუქტურული ერთეულისათვის ელექტრონული მართვის სისტემით

10. კადრების სამსახურის უფროსს დაევალოს აღნიშნული ბრძანების კონსერვატორიის პერსონალისა და სტუდენტებისთვის დაგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე